ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29.29222782**
თარიღი:**05/10/2022**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 03 ოქტომბრის № 28-282227637 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების 2022 წლის პრივატიზაციის გეგმა დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7) დაინტერესებული მხარისათვის მისი ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM